არ ჩამოჯდეთ სასაფლაოებზე და არ ილოცოთ მათ მიმართულებით

აბუ მარსად ალ-ღანავი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ ჩამოჯდეთ სასაფლაოებზე და არ ილოცოთ მათ მიმართულებით».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა სასაფლაოებზე ჩამოჯდომა. ასევე აკრძალა სასაფლაოების მიმართულებით ლოცვა, ანუ სასაფლაო რომ იყოს მლოცველის წინ ყიბლას მხარეს; რადგან ეს არის შირქისკენ მიმავალი ერთ-ერთი საშუალება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10647

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee